



შპს ბემონი
ს/კ 412670916

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება



ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ბემონი“ დაფუძნდა 2010 წლის 10 მარტს. საზოგადოების იურიდიული მისამართია ქ. ქუთაისი რუსთაველის 85/27. ფაქტიური მისამართია ქუთაისი ავტომშენებლის 4. კომპანიას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 412670916;

კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია: გრიგოლი ბახტაძე (პ/ნ 60001015005) კაპიტალის 100% წილის მფლობელი. კომპანიის დირექტორია : გრიგოლ ბახტაძე (პ/ნ 60001015005)

-კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: სამშენებლო მასალებით (ცემენტი) საბითუმო ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

-წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

-ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულია.

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

- ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში.

-საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ციფრები (თეთრებში გამოსახული) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე საზოგადოდ მიღებული წესით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

-კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს, მის პრინციპებსა და სტანდარტებს.

-ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.



-ფინანსური აქტივების ან/და ვალდებულებების შეფასება ხდება გარიგების თარიღისათვის მათი თვითღირებულებით და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

-სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაყიდვის დოკუმენტების საფუძველზე, სატრანსპორტო მომსახურება მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების (ხელშეკრულებები, ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) თანახმად, საიჯარო მომსახურება გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პერიოდის დასრულების თარიღით.

-ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურის მიხედვით.

-განყოფილება მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე

-სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაყიდული საქონლის გადაუხდელი ღირებულებისაგან, რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდით საქონლის მიწოდების თარიღით აღიარა შემოსავლად და ასახა საბუღალტრო აღრიცხვაში თუმცა შესაბამისი ანაზღაურება ჯერ არ მიუღია.

-სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შეძენის თარიღით. სასაქონლო მატერიალური მარაგები ისეთი აქტივებია რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით.

-მიღებული (შემენილი) აქტივების (ძირითადი საწარმოო საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების) შეფასების აღიარება და ასახვა აღრიცხვაში ხდება მათი ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც ყალიბდება მათი შეძენის, მათი ტრანსპორტირების, განბაჟების და საკუთრების უფლების გაფორმების ხარჯებით (მათი არსებობის შემთხვევაში).

-კომპანიას გააჩნია მიწა, იგი თავის საქმიანობას აწარმოებს საკუთარ ტერიტორიაზე ზოგადად ძირითადი საშუალების საბუღალტრო აღრიცხვაში თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. კომპანიას აქვს იჯარით აღებული საოფისე ფართი.

-ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს.

-კომპანია დროულად ისტუმრებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მის კუთვნილ დავალიანებას, კომპანია მოგების გადასახადის ნაწილში ხელმძღვანელობს სსკ-ს ნორმებით და გაუნაწილებელ მოგებას არ არიცხავს მოგების გადასახადს, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია იმის გათვალისწინებით რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახდით იბეგრება მხოლოდ მოგების განაწილებული.

- შპს „ბემონ“-ში დასაქმებულია 10-15 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

- კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორისს“.



ფინანსური მდგომარეობა


ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	693838	354092
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	866320	1002390
მარაგები	83972	115425
სხვა	83972	115425
ძირითადი საშუალებები	634418	361738
სულ აქტივები	2278548	1833645
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	24288	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1596	0
საგადასახადო ვალდებულებები	17931	0
სულ ვალდებულებები	43815	0
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2234733	1833645
სულ საკუთარი კაპიტალი	2234733	1833645
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2278548	1833645
სულ მოკლევადიანი აქტივები	1644130	1471907
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	43815	0



1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 693838
ნაღდი ფული სალაროში - 105339
ფული საბანკო ანგარიშებზე - 588499
2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: 866320
პროდუქციის რეალიზაციიდან მისაღები დავალიანება - 804338
მომწოდებელზე ავანსად გადახდილი თანხები - 61982
3. მარაგები: 83972

გადასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგი - 17715


სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი - 66257
4. ძირითადი საშუალებები: 634418
მიწის ნაკვეთები - 12000
დაუმთავრებელი მშენებლობა - 203687
შენობები - 94460
ნაგებობები - 123825
მანქანა-დანადგარები - 97042
ოფისის აღჭურვილობა - 15891
ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5070
სატრანსპორტო საშუალებები - 82443
5. სავაჭრო ვალდებულებები: 24288
მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანებები - 24288
6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ: 1596
ხელფასი - 1596
7. საგადასახადო დავალიანება : 17931
8. გაუნაწილებელი მოგება: 2234733 ლარი



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	23841265	17271823
საქონლის გაყიდვიდან	23841265	17271823
გაყიდვების თვითღირებულება	-22859958	-16597021
საერთო მოგება	981307	674802
დასაქმებულთა ანაზღაურება	-215629	-181935
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-42536	-38215
საპროცენტო შემოსავალი	23067	7793
იჯარის ხარჯი	-12562	-15000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-84883	-28621
სულ საოპერაციო ხარჯები	-332543	-255978
საოპერაციო მოგება	648764	418824
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის		
ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	648764	418824
მოგების გადასახადის ხარჯი	-37151	-63219
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	611613	355605
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	611613	355605
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1833645	1835935
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-210525	-357895
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2234733	1833645

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	84883
საპენსიო შენატანი	3470
კომუნიკაციის ხარჯები	3897
დაზღვევა	3318
ინტერნეტ მომსახურება	600
ავტოტექნომომსახურება	19193
დაცვის მომსახურება	745
სალარო აპარატის მომსახურება	330
სატრანსპორტო და სხვა მომსახურება	25820
დასუფთავება	63
საკანცელარიო, საოფისე და	
დამხმარე მარაგის ხარჯი	27447



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	339746	56537
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	339746	56537
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	354092	297555
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	693838	354092


ფულადი სახსრები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშწორება მხარეთა შორის შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით. საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, როგორც ნაღდი ისე უნაღდო წესით. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ნაღდი ფულის ძირითადი ნაწილის შეტანა ხდება საზოგადოების საბანკო ანგარიშზე, გაიცემა ხელფასის სახით და საქვეანგარიშოდ. სხვა ნებისმიერი საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა ხორციელდება საზოგადოების საბანკო ანგარიშიდან უნაღდო წესით. (მომწოდებლებზე გადახდები, ხელფასები, საბიუჯეტო შენატანები და ა. შ)

შპს ბემონი-ის
დირექტორი:



/გ. ბახტაძე/

შპს ბემონი-ს
ბუღალტერი:



/ნ. ფხაკაძე/

